2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პროტესტის 120 დღე საქართველოში: დინამიკა და რეპერტუარის ანალიზი

მარიამ სააკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ სააკაშვილი

19.06.2025

აბსტრაქტი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საქართველოში წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო. უკმაყოფილების გამოხატვა კონკრეტულ პოლიტიკურ აქტებზე დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტურ საყრდენს წარმოადგენს. იგი იძლევა საშუალებას, რომ მოქალაქეებმა დააფიქსირონ განსხვავებული აზრი, გავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკის ფორმირებაზე და მოითხოვონ ხელისუფლების ანგარიშვალდებულება. საქართველოს მსგავსი ახალი დემოკრატიებისთვის პროტესტი და მისი დინამიკა მნიშვნელოვან გამოცდას წარმოადგენს. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პროტესტის 120 დღე საქართველოში. გაანალიზდეს საპროტესტო ქცევის დინამიკა, რეპერტუარი, აღნიშნულის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და გამოიკვეთოს ძირითადი ტენდენციები. ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე პოსტსაარჩევნო პროტესტის ამგვარი დეტალებით მსჯელობის პირველ მცდელობას.

კვლევაში გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდები. ჩატარებულია რაოდენობრივი გამოკითხვა (გამოიკითხა 267 რესპონდენტი), მედია კონტენტ-ანალიზი და ვიზუალური კონტენტ-ანალიზი. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ერთი მხრივ ჩარლზ ტილის „პროტესტის რეპერტუარის კონცეფცია“, მეორე მხრივ კი დაგ მაკადამის „პოლიტიკური პროცესის თეორია“.

კვლევაში ასახულია პროტესტის ხუთ ფაზად (გამორკვევა-მობილიზაცია, გააქტიურება, კონფრონტაცია, მარშები, სტაბილიზაცია) დაყოფის ტენდენცია და სხვადასხვა ტაქტიკისადმი საზოგადოებრივი განწყობები. კვლევამ აჩვენა, რომ სამიზნე აუდიტორიაში (არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო მოსახლეობა) არაძალადობრივი წინააღმდეგობის ტაქტიკები (განსაკუთრებით მარშები და სტრატეგიული გზების ბლოკირება) ფართო მხარდაჭერით სარგებლობს, მაშინ როცა ძალადობრივი და რადიკალური ფორმების მიმართ მაღალი უკმაყოფილებაა

გამოხატული. მნიშვნელოვნად აღიქმება გამჭვირვალობა, დაგეგმვა, კრეატიულობა და სტრატეგიული კომუნიკაციის არსებობა.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კომუნიკაცია, პროტესტი, საპროტესტო რეპერტუარი, არჩევნები, პოლიტიკური პროცესის თეორია, საქართველო 2024

Abstract

Following the 2024 parliamentary elections in Georgia, a sustained protest movement emerged. The expression of public dissatisfaction with specific political actions constitutes a fundamental pillar of democratic governance, enabling citizens to voice dissent, influence public policy formation, and demand government accountability. For emerging democracies like Georgia, the dynamics of protest represent a critical test of civic resilience and political maturity.

This master's thesis examines the first 120 days of post-election protests in Georgia, aiming to analyze the dynamics of protest behavior, the repertoire of collective actions, public attitudes toward various protest forms, and the dominant trends characterizing this period. The research represents one of the first comprehensive efforts to examine the post-election protests in Georgia in such detail.

A mixed-methods approach was employed, including a quantitative survey (with 267 respondents), media content analysis, and visual content analysis. The theoretical framework is based on Charles Tilly's concept of repertoires of contention and Doug McAdam's political process theory.

The study identifies five key phases in the protest cycle – clarifying & mobilizing, activation, confrontation, mass marches, and stabilization - and maps public sentiment toward the tactics used within each phase. The findings reveal strong support among the target audience (those dissatisfied with the election results) for nonviolent forms of resistance - particularly protest marches and strategic road blockades - while violent and radical tactics were broadly rejected. Transparency, strategic planning, and coherent communication emerged as essential elements for public trust and mobilization effectiveness.

Keywords: Political Communication, Protest, Repertoires of Contention, Elections, Political Process Theory, Georgia 2024

მადლობა

კვლევაზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, თორნიკე გურულს. ასევე, მადლობა ყველა რესპონდენტს, რომელმაც კვლევაში მიიღო მონაწილეობა.